საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/196 " 12 " ივნისი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე
მ. კაპანაძის ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ

2017 წლის 25 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები დ. ახალბედაშვილი და გ. ქაშაკაშვილი, მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის საფუძველზე, დაინიშნენ სხვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში დარჩა 2 მოსამართლე, რომელთაგან ერთს წარმოებაში აქვს 58, მეორეს - 49 სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნული საქმეებიდან 3 სისხლის სამართლის საქმე იხილება ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით, რაც მოსამართლეთა მხრიდან დამატებით დროსა და რესურსს მოითხოვს. დ. ახალბედაშვილსა და გ. ქაშაკაშვილს წარმოებაში ჰქონდათ სულ 73 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა გადანაწილება კოლეგიაში დარჩენილ მოსამართლეებზე მკვეთრად გაზრდის განსახილველ საქმეთა რაოდენობას და ხელს შეუშლის სწრაფი და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 2017 წლის 5 ივნისის სხდომაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის მივლინება და მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიმართა ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მურთაზ კაპანაძეს.

მ. კაპანაძე სამტრედიის რაიონულ სასამართლოში დაინიშნა 2017 წლის 25 მაისს და საქმეთა არსებითი განხილვა ჯერ არ აქვს დაწყებული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მ. კაპანაძის გარდა, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში სისხლის სამართლის სპეციალიზაციის 2 მოსამართლეა რომელთაგან ერთს წარმოებაში აქვს 19, ხოლო მეორეს კი 7 სისხლის სამართლის საქმე. სამტრედიის რაიონულ სასამართლოში სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლეთა დატვირთულობა მისაღებია და მ. კაპანაძის ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მივლინება არ გამოიწვევს მოსამართლეთა დატვირთულობის მკვეთრ ზრდას.

2017 წლის 8 ივნისს მიღებულ იქნა მოსამართლე მ. კაპანაძის წერილობითი თანხმობა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში მივლინებასთან დაკავშირებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქ. ქუთაისი წარმოადგენს მ. კაპანაძის საცხოვრებელ ადგილს და მისი მივლინება არ გამოიწვევს საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის დამატებითი მატერიალური რესურსის ხარჯვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მურთაზ კაპანაძე, მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად, მივლინებულ იქნას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში 2017 წლის 15 ივნისიდან 2018 წლის 14 ივნისამდე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი